



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 70/ს
07/02/2023

70-21-4-202302071636



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ (ს/ნ 404942470) მიერ, წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეიქმნა საექსპერტო კომისია და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია განთავსდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდებზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე და საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში.

2020 წლის 4 ივნისს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N67 23.07.2020/ბრძანება N 2-670).

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მდებარეობის ალტერნატივების ანალიზი განხორციელდა 3 ეტაპად: ალტერნატიული ადგილების შერჩევა; მათი წინასწარი შეფასება; შერჩეული ადგილების დეტალური გამოკვლევა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტოპოგრაფიული, გეოლოგიური,

ჰიდროგეოლოგიური მეტეოროლოგიური, ბიომრავალფეროვნების (ფლორა და ფაუნა) კვლევები და განხორციელდა რისკების შეფასება. ადგილმდებარეობის ალტერნატივებიდან განხილული იქნა ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის ტერიტორია და ყოფილი ნაგავსაყრელი სოფელ ურთასთან. აღნიშნული ტერიტორიების დეტალური კვლევების, ვიზუალურ-ლანდშაფტური შეფასებისა და მოსახლეობამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ასევე ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით საუკეთესო ალტერნატივად ჩაითვალა ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელის ტერიტორია.

გზმ-ის ანგარიშში, ასევე განხილულია ნაგავსაყრელიდან წარმოქმნილი გამონაჟონის გაწმენდის ტექნიკური ალტერნატივები. წარმოდგენილი ინფორმაციით, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ეტაპზე ზუგდიდის ახალი რეგიონული ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის გამონაჟონის დამუშავების შერჩეულ მეთოდად ე.წ „უკუოსმოსის“ მეთოდი იქნა მიჩნეული, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხით გაწმენდას და თანხვედრაშია კანონით გათვალისწინებულ ნორმებთან და თანამედროვე სტანდარტებთან.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებლობა დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ - 43.26.42.004). აღნიშნული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ გამოიყენება ქ. ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელისთვის. მიწის ნაკვეთის ჯამური ფართობი შეადგენს 16,691 ჰექტარს, საიდანაც არსებული ნაგავსაყრელის ნარჩენების განთავსების უჯრედი წარმოდგენილია 5,0651 ჰა ფართობზე, ხოლო „ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის“ მოსაწყობად გათვალისწინებულია 11,6259 ჰა ფართობი, საიდანაც ნარჩენების განთავსების საპროექტო უჯრედებს დაეთმობა 7,2018 ჰა; ინფრასტრუქტურას (შიდა გზები, გვერდითი ფერდები და სხვ.) - 2,9141 ჰა; შესასვლელ ტერიტორიას - 1,51 ჰა; მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია მისასვლელი გზებით. ტერიტორიის ირგვლივ წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და საძოვრები. მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება ზედაპირული წყლის ობიექტი (მდინარე უთუორი/უმჩარა), რომელიც მიწის ნაკვეთის კონტურიდან დაშორებულია 12-13 მეტრით. უახლოესი დასახლებული პუნქტი (სოფ. დიდი ნემი) საპროექტო ტერიტორიიდან მდებარეობს 1 კმ-ის დაშორებით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის (2022 წლის 5 სექტემბრის N 21/5001 და 2022 წლის 27 ოქტომბრის N 21/6393 წერილი) შესაბამისად, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ წარმოადგინა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ დამატებითი (დაზუსტებული) ინფორმაცია (წერილი N 04/345; N04/452) , რომელიც მოიცავს: ნაგავსაყრელის უჯრედების ფართობებისა და ნაგავსაყრელის ქვედა და ზედა საიზოლაციო ფენების დაზუსტებას; ნაგავსაყრელის ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ დამატებით ინფორმაციას; სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ზემოქმედების შესახებ დამატებით ინფორმაციას; ნაგავსაყრელზე

მისაღები ნარჩენების ნუსხის დაზუსტებას; ბიომრავალფეროვნებაზე მონიტორინგის შესახებ დამატებით ინფორმაციას და სხვ. აღნიშნული დამატებითი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით ასევე განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

წარმოდგენილია ნაგავსაყრელზე მისაღები ნარჩენების ნუსხა, სადაც მოცემულია ინფორმაცია მისაღები ნარჩენების შესახებ (მათ შორის ნარჩენების სახეობები, კოდები და სხვ). წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაგავსაყრელზე მისაღები ნარჩენების ნუსხა მოიცავს არასახიფათო ნარჩენებს, გარდა სითხეებისა და ნარჩენებისა, რომელიც წარმოიქმნება მინერალური რესურსების შესწავლის, მოპოვების, ფიზიკური/ქიმიური დამუშავებისა და კარიერების ექსპლუატაციის შედეგად. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ვადა განსაზღვრულია 20 წლით, რაც გაანგარიშებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში წარმოქმნილი ნარჩენების სავარაუდო მოცულობებზე დაყრდნობით 20 წლიან პერსპექტივაში. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით - 20 წელი (2023-2042) გულისხმობს მხოლოდ ოპერირების ფაზას, მონიტორინგის და კონტროლის ჩათვლით. დახურვისა და შემდგომი მოვლის პერიოდი დაიწყება ობიექტის ოპერირების დასრულების შემდეგ და გაგრძელდება მანამ, სანამ მონიტორინგის შედეგებით არ დადასტურდება, რომ არ არსებობს შემდგომი რისკები გარემოს კომპონენტებისთვის. აღნიშნული პერიოდი, როგორც წესი, 20-30 წელი გრძელდება. ამ ფაზაში ნარჩენების ნაგავსაყრელზე ეტაპობრივად შემცირდება წარმოქმნილი აირები და გამონაჟონი. ობიექტის საიზოლაციო სისტემა რეგულარულად შემოწმდება დახურვისა და შემდგომი მოვლის სრული პერიოდის განმავლობაში. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ობიექტის დახურვისა და შემდგომი მოვლის გეგმა.

გზმ-ის ანგარიშის წარმოდგენილი ინფორმაციით, ობიექტზე განსათავსებელი ნარჩენების ჯამური მოცულობა იქნება 1 465 000 მ³, ხოლო ნარჩენების განთავსებისთვის გათვალისწინებული საპროექტო უჯრედების ფართობი - 72018 მ². საპროექტო ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსებისთვის გამოყოფილი იქნება 4 უჯრედი (უჯრედი 1 - ზედაპირის ფართობი 43804 მ², მოცულობა 490 000 მ³; უჯრედი 2 - ზედაპირის ფართობი 17 108 მ², მოცულობა - 360 000 მ³; უჯრედი 3 - ზედაპირის ფართობი 11 106 მ²; მოცულობა 195 000 მ³; უჯრედი 4 - ზედაპირის ფართობი 49 651 მ²; მოცულობა - 420 000 მ³;) უჯრედი 4 განთავსდება ნაწილობრივ არსებული ნაგავსაყრელის ზემოდან, ხოლო ნაწილობრივ საპროექტო არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) ზემოდან. შესაბამისად, მე-4 უჯრედი არ დაიკავებს დამატებით მიწის ტერიტორიას. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, უჯრედების სიმაღლე შემდეგია: უჯრედი 1 - 28 მ, უჯრედი 2 - 28 მ, უჯრედი 3 - 23 მ, უჯრედი 4 - 17 მ.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ნაგავსაყრელის უჯრედების დაფარვისთვის და გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების პრევენციისა და შერბილების მიზნით, გათვალისწინებულია საიზოლაციო (ზედა და ქვედა საიზოლაციო სისტემები) და სადრენაჟე სისტემების მოწყობა.

ქვედა საიზოლაციო ფენა მოეწყობა ნარჩენების უჯრედის ფსკერის და გვერდითი ფერდების დასაფარად. ქვედა საიზოლაციო სისტემა შრეების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლის სისქე საშუალოდ იქნება 0,5 მ. ქვედა საიზოლაციო სისტემა წარმოადგენილი იქნება შემდეგი ფენებით: ქვედა ფენა (შემავსებელი და გამყოფი გეოტექსტილი); გაუმტარი მინერალური ფენა; გეომემბრანა; გეომემბრანის დამცავი ფენა (დამცავი გეოტექსტილი); სადრენაჟე სისტემა (გამონაჟონის სადრენაჟე ფენა); გაუმტარი მინერალური ფენა შედგება კომპაქტირებული თიხის ფენისგან, რომელიც სისქე იქნება არანაკლებ 0,5 მ. გეომემბრანა დამზადებული იქნება მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისგან (HDPE), სისქით 2.5 მმ. გეომემბრანა განთავსდება გაუმტარ მინერალურ ფენაზე. გეომემბრანის ნარჩენების მასის დაწოლისგან დასაცავად, გამოყენებული იქნება დამცავი ფენა (გეოტექსტილი).

ზედა საიზოლაციო სისტემა ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ნარჩენების მასაში ნალექების შეღწევის და შემდგომი გამონაჟონის წარმოქმნის თავიდან აცილებას, ხოლო მეორე მხრივ, გაუმტარი მინერალური ფენის საშუალებით ხდება ნაგავსაყრელზე წარმოქმნილი აირების ინკაფსულირება, რომელიც შეგროვების შედეგად შემცირდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. ზედა საიზოლაციო სისტემის განთავსება დაიწყება მას შემდეგ, რაც ნარჩენების უჯრედების გარკვეული სექციები დაიხურება ნარჩენების განთავსებისთვის. ზედა საიზოლაციო სისტემა წარმოადგენილი იქნება შემდეგი ფენებით: გამთანაბრებელი/აირების შეკრების (სავენტილაციო) ფენა; გაუმტარი მინერალური ფენა; სადრენაჟე სისტემა; გეოტექსტილის ფენა; რეკულტივაციის ფენა. გამთანაბრებელი/აირების შემკრები ფენით (სისქე 0,5 მ) დაიფარება ნარჩენების საბოლოო ზედაპირი. აღნიშნული ფენა წარმოქმნის გლუვ ზედაპირს შემდეგი საიზოლაციო ფენისათვის. მინერალური ფენა (სისქე არანაკლებ 0,5 მ) შედგება კომპაქტირებული თიხის ფენისგან. რეკულტივაციის ფენა (ნიადაგის ზედა ფენა) წარმოადგენს ზედა საიზოლაციო სისტემის საბოლოო ფენას. მისი სისქეა 1.0 მ. აღნიშნული ფენა შედგება ბალახისა და ბუჩქებისგან.

სადრენაჟე სისტემის საშუალებით მოხდება ნალექების დრენირება, რომლებიც ხვდება ზედა საიზოლაციო სისტემის ზედაპირზე, რეკულტივაციის ფენაზე. სადრენაჟე ფენის სისქე იქნება არანაკლებ 0,5 მ. აღნიშნული ფენისთვის გამოყენებული იქნება ხრეშოვანი მასალა. გეოტექსტილის ფენა განთავსდება სადრენაჟე სისტემის ზემოთ. აღნიშნული ფენის საშუალებით მოხდება რეკულტივაციის ფენიდან მარცვლოვანი ნაწილაკების სადრენაჟე სისტემაში გადაადგილების თავიდან აცილება.

ნაგავსაყრელის ინფრასტრუქტურა დაყოფილია შესასვლელ (საკონტროლო-გამშვებ) და ინფრასტრუქტურულ ზონებად. შესასვლელი ზონის ტერიტორია მოიცავს: ჭიშკარს, დაცვის შენობას, საპლატფორმო სასწორს, საკონტროლო შენობას, საბურავების გაწმენდისთვის განკუთვნილ განყოფილებას (ნაგავსაყრელის ტერიტორიიდან გამსვლელი სატვირთო ავტომობილებისთვის). ინფრასტრუქტურულ ზონაში შედის: ადმინისტრაციული შენობა, პარკირების ზონა, ტექნიკური მომსახურების ნაგებობა, ნარჩენების შემოწმების ადგილი, საკონტეინერო ზონა. ინფრასტრუქტურის ზონაში დამონტაჟებული იქნება სეპტიკური ავზი, საწვავის ავზი, გენერატორი (სარეზერვო ბლოკი). ინფრასტრუქტურული ზონა, ასევე მოიცავს საკონტროლო კამერას შეგროვებული

გამონაჟონისთვის აუზითა და გამონაჟონის დამუშავების ნაგებობით, აირების საკომპრესორო სადგურს და ჩირაღდნების სისტემას.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, რელიეფი, კლიმატი, გეომორფოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო, ჰიდროგეოლოგიური და გეოლოგიური პირობები.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება. ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე. სამშენებლო სამუშაოების პროცესში ხმაურის წარმოქმნა დაკავშირებული იქნება სამშენებლო ოპერაციებთან. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის ძირითადი წყაროა ობიექტის ფუნქციონირებისთვის, აგრეთვე ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ტექნიკა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, უახლოესი საცხოვრებელი სახლებიდან დაშორების მანძილის გათვალისწინებით (1 კმ) ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

გზმ-ის ანგარიშში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების წყაროს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებში ჩართული ტექნიკა და დანადგარები. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებასა და სუნის წარმოქმნასთან დაკავშირებულია ნარჩენების გადმოტვირთვის ოპერაციები; დაუფარავი მყარი მუნიციპალური ნარჩენები; ბიოგაზის მართვის სისტემა და ჩირაღდან; დიზელის ავზები; საბურავების სარეცხი აუზი; გამონაჟონის გამწმენდი სისტემა; მანქანების პარკირების ოპერაციები. ნაგავსაყრელის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, ამიაკი, აზოტის ოქსიდი, ქლორწყალბადი, ჭვარტლი, გოგირდის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, სუსტად ხსნადი ფტორიდები, ქლორი, მეთანი, ქსილოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ფენოლი, ფორმალდეჰიდი, ეთილმერკაპტანი, ნავთის ფრაქცია, ნაჯერი ნახშირწყალბადების C₁₂-C₁₉, შეწონილი ნაწილაკები და არაორგანული მტვერი.

მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გაანგარიშების შედეგების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში და ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის პერიოდში ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს ობიექტიდან 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (1 კმ). ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ მტვერიანი ნარჩენების ტრანსპორტირება დახურული სატრანსპორტო საშუალებებით ან

გადაფარვის გამოყენებით; ობიექტის ტერიტორიაზე არსებული ყველა გზის რეგულარული შემოწმება მტვრის დაგროვების თავიდან ასაცილებლად და საჭიროების შემთხვევაში დასუფთავება; სატრანსპორტო საშუალებების გამართულობის კონტროლი, სიჩქარის შეზღუდვა და ა.შ.

ახალი ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის ეტაპზე გაზის წვის შედეგად წარმოქმნილი ემისიები დაიწვება ჩირაღდნის სისტემით, რაც მავნე ნივთიერებებს ძირითადად ნახშირორჟანგად, წყლად, გოგირდის დიოქსიდად და აზოტის ოქსიდებად გარდაქმნის. ჩირაღდნის სისტემა იქნება დახურული ტიპის, სადაც აირის ინსინერაცია მოხდება დაახლოებით 800 - 1000° C ტემპერატურაზე, გაზის ტოქსიკური კომპონენტების განადგურების უზრუნველსაყოფად. ნაგავსაყრელის დახურული ტიპის ჩირაღდნის სიმაღლე იქნება დაახლოებით 10 მ. ემისიების გაფრქვევის მხრივ, ჩირაღდნიდან ზემოქმედების არეალი იქნება დაახლოებით 500 მ რადიუსი. ვინაიდან აღნიშნულ რადიუსში არ ხვდება საცხოვრებელი სახლები, დასახლებულ პუნქტზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ჩირაღდნის სისტემით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა: წვის მაღალი ტემპერატურის შენარჩუნება (800 - 1000°C) ნაგავსაყრელის აირებში ტოქსიკური კომპონენტების განადგურებისთვის; ნაგავსაყრელის აირების რეგულარული შემოწმება და კონტროლი.

სუნის გავრცელების მხრივ, არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება შემდეგი აირადი ემისიები: ნარჩენების მასაში წარმოქმნილი ნაგავსაყრელის აირი, ნარჩენების ანაერობული დაშლის პროცესში წარმოქმნილი სუნის მქონე ნივთიერებები, შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენებიდან წარმოქმნილი სუნის მქონე ნივთიერებები, ნაგავსაყრელის აირის წვის/აალების პროცესიდან წარმოქმნილი ემისიები და ასევე, ემისიები გამონაჟონის გამწმენდი სისტემიდან, მათ შორის გამონაჟონის შემგროვებელი ავზიდან. ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელისგან განსხვავებით, საპროექტო ნაგავსაყრელი აღჭურვილი იქნება აირების შეგროვების და დაწვის სისტემით, რაც შეამცირებს ნაგავსაყრელზე სუნის გავრცელებას. ნარჩენების მასიდან აირადი ემისიები შემცირდება გაზის შეგროვების სისტემის დამონტაჟებით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, აირების შეგროვების კოეფიციენტი იქნება 50-60%-მდე. ნაგავსაყრელის აირის ნაწილი, რომლის შეგროვებაც არ მოხდება, ნაწილობრივ მიკრობულ პროცესებში მოიხმარება, ხოლო დანარჩენი გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტზე აირების შეგროვება მოხდება აირების შეგროვების სისტემის მეშვეობით. ეს ნიშნავს, რომ აირის ექსტრაქცია მოხდება ნარჩენების მასიდან აირის შემგროვებელი ჰაბურდილების მეშვეობით. ტერიტორიაზე მოეწყობა ვერტიკალური ჰები (დიამეტრი 0,8-1 მ), სადაც განთავსდება მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის მილი, რომლის გარშემო ჩაიყრება ხრეში. ჰებს შორის დაშორება იქნება 50-100 მ. საჭირო უარყოფითი წნევის წარმოქმნა მოხდება გამამლიერებელი სადგურიდან, რომლის ფუნქციაა ნაგავსაყრელის აირის ამოტუმბვა. აირების შემგროვებელი შესაბამისი სადგურისკენ მიემართება აირების შემგროვებელი რამდენიმე მილი. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გათვალისწინებულია ერთმანეთთან დაკავშირებული ოთხი შემგროვებელი სადგური.

უსიამოვნო სუნის გავრცელების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: ნაგავსაყრელის გაზის წვა ჩირაღდნის მეთოდით; ნარჩენების განთავსების დაუფარავი ადგილების მინიმოზაცია; გამონაჟონის შეგროვება და დამუშავება; ნაგავსაყრელის გაზის მონიტორინგი აირების შემგროვებელი აღჭურვილობის ლოკალური ეფექტურობის დასადგენად და აირების კონცენტრაციის დასადგენად და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება; მიღებული ნარჩენების გადაფარვა საიზოლაციო მასალით და სხვ.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე ნარჩენების მიღების პროცედურა მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: ობიექტზე ნარჩენების შეტანამდე და გადმოტვირთვამდე მფლობელებმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასაბუთებისთვის, რის შემდგომ მოხდება: ა) დოკუმენტაციის შემოწმება (ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი, ობიექტზე შესული ნარჩენების კოდები); ბ) ნარჩენების რაოდენობის განსაზღვრა სასწორის საშუალებით; გ) საჭიროების შემთხვევაში ნარჩენების ვიზუალური შემოწმება ნარჩენების მიღებამდე და განთავსებამდე; დ) მიღებული ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება.

იმ შემთხვევაში, თუ პირველადი ვიზუალური დათვალიერებით გამოვლინდება იურიდიულად მიუღებელი ან საეჭვო ნარჩენები, სატვირთო მანქანა არ დაიშვება ობიექტზე და შედგება ოქმი ინციდენტის დეტალური აღწერისთვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ობიექტზე ნარჩენების მიღების პროცედურის გავლის შემდეგ, ნარჩენები გადაიტვირთება აქტიურ უჯრედში. ნარჩენები განთავსდება 2 მეტრიანი სისქის ფენით, თითოეული ფენა კომპაქტორის საშუალებით დაიტკეპნება და მოხდება 30-50 სმ-იანი დახრილი იარუსების ფორმირება. ნარჩენების დატკეპნა და მისი ინერტული ან სხვა საიზოლაციო მასალით ყოველდღიური გადაფარვა შეამცირებს უსიამოვნო სუნის გავრცელებას და შეაფერხებს ნარჩენების მსუბუქი ფრაქციების გაფანტვას. ნარჩენების დატკეპნილი ფენა დაიფარება ყოველდღიურად (თუ ტემპერატურა $+5^{\circ}\text{C}$ -ზე მეტია) ან ყოველ სამ დღეში (თუ ტემპერატურა $+5^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალია) 10-20 სმ გრუნტით ან სხვა ტიპის ინერტული/საიზოლაციო მასალით.

ნარჩენების განთავსების აქტიური უჯრედების ირგვლივ დამონტაჟდება ქარის საწინააღმდეგო ბადეები ან მობილური ღობეები მსუბუქი ნარჩენების გაფანტვის მინიმუმამდე შესამცირებლად. მშრალ ამინდში მტვრის გამოყოფის თავიდან ასაცილებლად, ნარჩენების ზედაპირი მოირწყება. საჭიროების შემთხვევაში, დანამვა განხორციელდება სხვადასხვა მასალის გადმოტვირთვის დროსაც. მტვრიანი მასალების შემცველი კონტეინერები გადაიფარება ადგილზე შენახვისას და ტრანსპორტირების დროს. ობიექტის ტერიტორიის დატოვებამდე ყველა მანქანა, რომელსაც შეხება ჰქონდა ნარჩენებთან, გაივლის დეზინფექციას.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია საქმიანობის განხორციელების შედეგად ნიადაგზე, უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტზე (მდ. უმჩარა/უთუორი) და გრუნტის/მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობის ეტაპზე, ზედაპირული წყლის ობიექტზე ზემოქმედებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ნავთობპროდუქტების, მასალების სედიმენტებით და სამშენებლო ნარჩენების მოხვედრის შემთხვევაში. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა: დასაწყობებული მასალების მარაგების უსაფრთხო შენახვა და შეძლებისამებრ ზედაპირული წყლის ობიექტიდან მოშორებით განთავსება, მცენარეული საფარის რეკულტივაცია შესაძლოა ეროზიის შესამცირებლად, ტერიტორიის ათვისება მხოლოდ მშენებლობის არეალში და სხვ. არსებული ნაგავსაყრელის დახურვის შემდეგ, ახალი ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის პერიოდში ზედაპირული წყლების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად მოეწყობა საიზოლაციო და სადრენაჟე სისტემები.

რაც შეეხება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედებას, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წყლის ინფილტრაციის უნარის დაკარგვას ნიადაგის დატკეპნისა და იზოლირების გამო, ასევე მშენებლობის დროს ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრებით. ჩატარებული გეოლოგიური კვლევების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია თიხნარი, რომელიც ძნელად გამტარია წყლისთვის. ასევე გათვალისწინებულია ფსკერის საიზოლაციო სისტემა და წყალშემკრები ინფრასტრუქტურის მოწყობით განპირობებული ზედაპირის იზოლირება/დალუქვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ბიოქიმიური რეაქციების გამო ნარჩენების მასაში წარმოიქმნება გამონაჟონი, რომელიც საჭიროებს შეგროვებასა და დამუშავებას. გამონაჟონის შეგროვების სისტემის პარამეტრები მოიცავს შემდეგს: ნარჩენების მასაში წარმოქმნილი გამონაჟონი და ასევე, წვიმის წყალი, რომელიც ნარჩენების მასაში ჩაედინება, დაგროვდება სადრენაჟე ფენაში, ფსკერის საიზოლაციო სისტემის ზემოთ. გამონაჟონის სათანადოდ შეგროვებისთვის შემკრები მილები ერთმანეთისგან 30 მ-ის დაშორებით მოეწყობა (დახრილობა - 3%). გამონაჟონის შემკრები მილები დამზადებული იქნება პერფორირებული მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისაგან (HDPE), რომლის საშუალებით გამონაჟონის გადინება მოხდება აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით; გამონაჟონის შემკრები მთავარი მილის და სხვა სადრენაჟე მილების შიდა მინიმალური დიამეტრი იქნება 300 მმ თითოეული სადრენაჟე მილის ბოლოს მოეწყობა გამონაჟონის შემკრები ჭა, მილის კონტროლის, მოვლა-შენახვისა და შეკეთების (მაგ. გამორეცხვის) უზრუნველსაყოფად.

გამონაჟონის დამუშავებისთვის გათვალისწინებულია გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა ნაგავსაყრელის სამხრეთ-აღმოსავლეთ შესასვლელ ზონაში. დამუშავების დაწყებამდე გამონაჟონი შეინახება რკინაბეტონის ავზში, რომელიც დაფარული იქნება გეომემბრანით (HDPE-მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენი). შეგროვებული გამონაჟონი დამუშავდება მდინარე უმჩარაში/უთუორში ჩაშვებამდე (ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები: X: 727794.02 Y: 4698255.32), რათა შეესაბამებოდეს მდინარეში ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმებს. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, გამონაჟონის დასამუშავებლად შერჩეულ იქნა უკუოსმოსის (RO) გაწმენდის ტექნოლოგია, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხით

გაწმენდას და ჩამდინარე წყლების საჭირო ხარისხის მიღწევას, რომ დაცული იყოს ზღვრულად დასაშვები ნორმები. გაწმენდი ნაგებობა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: გამათანაბრებელი, სალექარი და წყლის შესანახი აუზი; ფილტრაციის სისტემა (ქვიშის ფილტრები, რასაც მოჰყვება ფილტრის ტომრები) წინასწარი დამუშავებისთვის; ორსაფეხურიანი უკუოსმოსის სისტემა; დეგაზიფიკაციის სისტემა; ჩამდინარე წყლების გაწმენდი ნაგებობის დაგეგმილი სიმძლავრეა დაახლოებით 120 მ³/წ. უკუოსმოსის სისტემიდან წარმოქმნილი ნარჩენი (კონცენტრატი) - დაახლოებით 30 მ³/დღეში, განთავსდება ნარჩენების განთავსების უჯრედში. გაწმენდის გამონაჟონის აუზიდან წარმოქმნილი ლექი, მოცულობით 100 მ³/წელიწადში, ასევე განთავსდება ობიექტზე.

გამონაჟონი წყლების გარდა, ახალი ნაგავსაყრელის ექსპლუატაციისას ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება შენობებიდან და სამრეცხაოს ტერიტორიიდან. აღნიშნული წყლები შეგროვდება შესაბამის ავზებში და პერიოდულად გატანილი და ჩაშვებული იქნება მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გაწმენდი ნაგებობაში.

ობიექტის სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოხდება ადგილზე მიტანით. ტექნიკური წყალი შესაბამის შენობებს/სექციებს მიეწოდება მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილისა და მასთან დაკავშირებული წყლის ავზის მეშვეობით, რომელიც აშენდება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე. ჭის სიღრმე იქნება 40 მ, ავზის მოცულობა, 18.5 მ³. წყლის ავზი და წყლის სატუმბი სადგური განთავსებული იქნება შემდეგ GPS კოორდინატებზე: X - 727652, Y - 4698200; X - 727672, Y - 4698202

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ახალი ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის პერიოდში დასაქმებული იქნება 35 ადამიანი, საიდანაც მიმდებარე ტერიტორიის საჭიროებისამებრ დასუფთავების მიზნით, გამოყოფილი იქნება 6 თანამშრომელი, რომლებიც ყოველდღიურად განახორციელებენ მიმდებარე ტერიტორიის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში დაასუფთავებენ პერიმეტრს.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით სამშენებლო ბანაკი მოეწყობა არსებული ნაგავსაყრელის თავისუფალ ტერიტორიაზე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ობიექტის ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოგასამართი სადგური, რომელიც დიზელის ტიპის საწვავით მოამარაგებს ობიექტზე მომუშავე მძიმე ტექნიკას, კერძოდ, ნარჩენების კომპაქტორს, ბორბლებიან სატვირთველს და ბულდოზერს. ავტოგასამართი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან, მიწისქვეშა საწვავის ავზი 5000 ლ ტევადობით და ჩამოსასხმელი სვეტი. საწვავის ავზი განთავსდება ბეტონის სითხეგაუმტარ საცავში, რომლის ფსკერი და კედლები მოპირკეთებული იქნება სპეციალური დამცავი მასალით, ასევე ავზი აღჭურვილი იქნება საწვავის დონის გასაზომი მოწყობილობით. ტექნიკის საწვავით შევსება განხორციელდება ბეტონის იატაკზე. შევსების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი მცირე გამონაჟონის შესაკავებლად გამოყენებული იქნება სპეციალური წვეთების შესაგროვებელი უჯრები.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევების შედეგები, შეფასებულია საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების მასშტაბი და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. ფლორის კვლევების შედეგების მიხედვით, ტერიტორიაზე გამოვლენილი არ არის საკონსერვაციო ღირებულების მქონე ან/და წითელი ნუსხით დაცული მცენარეთა სახეობები. რაც შეეხება ფაუნის კვლევებს, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საკვლევ ტერიტორიაზე აღრიცხულია ფრინველთა სახეობები, რომლებიც ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე მოიპოვებენ საკვებს. მათი შორისაა; ძერა (*Milvus migrans*), ტბის თოლია (*Chroicocephalus ridibundus*), ყვითელფეხა თოლია (*Larus michahellis*), ჭილყავი (*Corvus frugilegus*), ყვავი (*Corvus cornix*), ყორანი (*Corvus corax*) და შოშია (*Sturnus vulgaris*). მტაცებლები: მიმინო (*Accipiter nisus*), ქორი (*Accipiter gentilis*), ჩვ. კაკაჩა (*Buteo buteo*) და ჩვ. კირკიტა (*Falco tinnunculus*) – მათ იზიდავს წვრილი ბელურასნაირი ფრინველების და მღრნელების სიუხვე. წვრილი ბელურასნაირი ფრინველები: თეთრი ბოლოქანქალა (*Motacilla alba*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), შაშვი (*Turdus merula*), სახლის ბელურა (*Passer domesticus*), მინდვრის ბელურა (*Passer montanus*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*) და ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*). გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე გადის აღმოსავლეთ შავი ზღვის ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტი, არსებული ჰაბიტატების მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ იქნება ახალი ობიექტის მშენებლობის, ოპერირების, დახურვისა და დახურვის შემდგომ ეტაპებზე. რაც შეეხება ძუძუმწოვრებს, დაკვირვების შედეგად საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლინდა ძუძუმწოვრების შემდეგი ძირითადი სახეობები: აღმოსავლეთ-ევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor*), კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*). ასევე ტერიტორიაზე ბინადრობენ ხელფრთიანები: ულვამა/ბრანდტის მღამიობი (*Myotis mystacinus/ brandti*), ნატერერის მღამიობი (*Myotis nattereri*), წყლის მღამიობი (*Myotis daubentonii*), წითური მეღამურა (*Nyctalus noctula*), მცირე მეღამურა (*Nyctalus leisleri*), ჯუჯა ღამორი (*Pipistrellus pipistrellus*), პაწია ღამორი (*Pipistrellus pigmaeus*), ნათუზისეული (ტყის) ღამორი (*Pipistrellus nathusii*) და ჩვ. ღამურა (*Vespertilio murinus*). მღრნელებიდან ტერიტორიაზე დაფიქსირებულია: მცირეაზიური თაგვი (*Silvaemus mystacinus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*) და რუხი ვირთაგვა (*Ratus norvegicus*). შემოგარენში ბევრია ტურა (*Canis aureus*). ამფიბიებიდან საკვლევ ტერიტორიაზე და მის ირგვლივ არსებული არხები და სხვადასხვა ზომის გუბურები ამფიბიებისთვის საარსებო გარემოს ქმნიან. საპროექტო უბანზე და მიმდებარედ გამოვლენილია ამფიბიების 6 სახეობა. ჩვეულებრივი ტრიტონი (*Lissotriton vulgaris*), ვასაკა (*Hyla arborea*), მწვანე გომბეშო, კავკასიური გომბეშო (*Bufo verrucosissimus*) ტბის ბაყაყი (*Pelophylax (Rana) ridibunda*) და მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ნაგავსაყრელი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა მოეწყობა მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც ბიომრავალფეროვნების მხრივ არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საბინადრო გარემოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციით, ტერიტორიაზე ჩატარებულმა

ფლორისა და ფაუნის კვლევებმა აჩვენა, რომ არსებული ნაგავსაყრელი უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნულ არეალზე/გარემოზე, ხოლო ახალი ნაგავსაყრელის მოწყობის შედეგად გაუმჯობესდება ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის/არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების კვლევები, რომლის მიხედვით საპროექტო არეალში, კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ხილული ძეგლი/ობიექტი ან/და არტეფაქტები არ დასტურდება. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ დაგეგმილი სამუშაოები საფრთხეს არ შეუქმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს/ობიექტებს.

საპროექტო ტერიტორიის გეოტექნიკური კვლევის მიხედვით, ზუგდიდის ნარჩენების განთავსების ობიექტის ტერიტორიაზე ნარჩენები დამარბული და დაფარულია მიწით. სამშენებლო სამუშაოების დროს ექსკავაცია განხორციელდება 0,5 მ-მდე სიღრმეზე არსებულ რელიეფზე (ორგანული ნივთიერებების შემცველი ნიადაგისგან გასაწმენდად). ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღმოჩენის შემთხვევაში, ნიადაგის მოხსნა და განთავსება მოხდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობისას ამოღებული ნარჩენები განთავსდება მათი ტიპების მიხედვით ნაგავსაყრელზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პერიოდში გრუნტის მოხსნა გათვალისწინებულია დაახლოებით 0,5 მ სიღრმეზე, რის შედეგად წარმოიქმნება დაახლოებით 57000 მ³ მოცულობის გრუნტი. ნარჩენების უჯრედების მშენებლობისთვის ჯამურად საჭირო იქნება 158 000 მ³ ინერტული მასალის გამოყენება. ამოღებული გრუნტი გამოყენებული იქნება ნარჩენების განთავსების უჯრედების ფსკერის არანაკლებ 1 მ ამალღებისთვის გრუნტის წყლებისგან დასაცავად. ასევე ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება 61000 მ³ მოცულობის თიხის მასალა უჯრედების ფსკერის საინჟინერო სისტემისთვის და 40000 მ³ მოცულობის ხრეში უჯრედების გამონაჟონის სადრენაჟე ფენისთვის.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა საინჟინერო-გეოლოგიური კვლევა (საველე პირობებში გაიბურღა 15 ჭაბურღილი და 2 შურფი). ჩატარებული კვლევების შედეგად ტერიტორიის საინჟინერო-გეოლოგიური პირობები არ შეუქმნის საფრთხეს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებას.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ობიექტის ოპერირების, მონიტორინგისა და კონტროლის გეგმა, დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ასევე სოფ. დიდ ნემში და სოფ. ცაცხვში ინფორმაციის

გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე განთავსება, ასევე ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2022 წლის 27 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიდი ნემის ადმინისტრაციული ერთეულის შენობასა და სოფ. ცაცხვის საბაზო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა და დაინტერესებული პირები. საჯარო განხილვებზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა მნიშვნელოვანია გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების აღმოფხვრის თვალსაზრისით, როგორცაა სუნი, პოლიეთილენის პარკების გავრცელება მიმდებარე ტერიტორიაზე და გამონაჟონი. გარდა ამისა, მოსახლეობის მხრიდან აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია საძოვრებისა და სავარგულეებზე ზემოქმედების საკითხები, ამასთან დამსწრე საზოგადოებამ ყურადღება გაამახვილა ნაგავსაყრელზე მიუსაფარი ძაღლების არსებობაზე. საჯარო განხილვაზე დამსწრე მოქალაქემ აღნიშნა, რომ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს და ნაგავსაყრელი უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მიწის ნაკვეთზე და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის გამოსყიდვას ან/და სხვა მიწის ნაკვეთში გაცვლას, რაზეც კომპანიის წარმომადგენლებმა გააკეთეს შესაბამისი განმარტებები.

გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების დასრულების შემდგომ, სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, მოხდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში პროექტთან დაკავშირებით მოქალაქე აპოლონ დანელიას მიერ, წარმოდგენილი იქნა განცხადება, სადაც აღნიშნული, იყო რომ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ: 43.26.42.642 მდებარეობს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მის მიწის ნაკვეთზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა ნაგავსაყრელი და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის გამოსყიდვას ან/და სხვა მიწის ნაკვეთში გაცვლას. მოქალაქის განცხადება გაგზავნილი იქნა (სააგენტოს N 21/2821 წერილი) შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“. აღნიშნული წერილის პასუხად, სააგენტოში შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ წარმოდგენილ 2022 წლის 6 სექტემბრის N 04/345 განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანიამ ნარჩენების განთავსების ობიექტის მიმდებარედ ბუფერული ზონის შექმნის მიზნით მიმართა შესაბამის სტრუქტურებს, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ჩანაცვლებისთვის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, რის შესახებაც ეცნობა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. ასევე განცხადებაში აღნიშნულია, რომ არსებული მდგომარეობით მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარესა და შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის პროცესი.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ ნაგავსაყრელის მოწყობა და ექსპლუატაცია უზრუნველყოს „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილების მოთხოვნებისა და პირობების გათვალისწინებით;
5. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ უზრუნველყოს ნაგავსაყრელზე ნარჩენების მიღება და განთავსება წარმოდგენილი ნარჩენების ნუსხის შესაბამისად, გარდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მე-2 დანართით განსაზღვრული 1708 ქვეჯგუფისა. ნარჩენების კოდებით: 20 01 36 (წუნდებული ხელსაწყოები, გარდა 20 01 21, 20 01 23 და 20 01 35 პუნქტებით გათვალისწინებული) და 20 01 38 (ხის მასალა, რომელიც არ გვხვდება 20 01 37 პუნქტში) ნაგავსაყრელზე განთავსება უზრუნველყოს მხოლოდ მათი არასახიფათობის შესახებ მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში; ასევე ნარჩენის კოდით 190305 (სტაბილიზირებული ნარჩენები, რომლებიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში, გარდა 19 03 04 პუნქტით გათვალისწინებულისა) მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი ცალკე სექციაში განთავსება, „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად;
6. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ მშენებლობის დაწყებიდან 3 თვის ვადაში, უზრუნველყოს ხმის რეპელენტების (ფრინველთა დამაფრთხობლების) მოწყობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
7. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სააგენტოში განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე ასახული იქნება

ცხოველთა, მათ შორის ფრინველთა ბუდეების/საბინადრო ადგილების საპროექტო ტერიტორიაზე არსებობაზე და მათ ხელყოფაზე დაკვირვების და სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხი. ამასთან დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების საჭიროების განსაზღვრის მიზნით, ამავე მონიტორინგის გეგმაში აისახოს, ექსპლუატაციის ეტაპისთვის შემარბილებელი ღონისძიებების (განსაკუთრებით ფრინველთა დამაფრთხობლებზე და ნარჩენის ნიადაგის ფენით ყოველდღიურ გადაფარვაზე) ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;

8. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკის დეტალური პროექტის შემუშავება და სააგენტოში shp ფაილებთან ერთად შესათანხმებლად წარმოდგენა;
9. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნაგავსაყრელის საზღვარზე ქარსაცავი ზოლის მოწყობის საჭიროების შესახებ ინფორმაციის შესათანხმებლად წარმოდგენა სააგენტოში;
10. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული ნაგავსაყრელის ოპერირების, მონიტორინგისა და კონტროლის გეგმის პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა და საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
11. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ ნაგავსაყრელის თითოეული უჯრედის დახურვამდე უზრუნველყოს დახურვის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. უჯრედის დახურვა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
12. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს ნაგავსაყრელის ოპერირებასა და მომსახურებაში მონაწილე პერსონალის საწყისი ტრენინგის ჩატარება/ორგანიზება (სულ მცირე შემდეგ საკითხებზე: ნაგავსაყრელის მართვა, მათ შორის ნარჩენების ადგილზე შემოწმება, ნაგავსაყრელის საოპერაციო და მომსახურების პროცედურები; გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და ნაგავსაყრელის ოპერატორისა და პერსონალის პასუხისმგებლობა მათ შესრულებასთან დაკავშირებით) და სააგენტოში შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განსახილველად წარმოდგენა;
13. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ ექსპლუატაციისა და დახურვის შემდგომი მოვლის ეტაპზე უზრუნველყოს ნაგავსაყრელის ყველა სისტემისა და მოწყობილობის (მათ შორის აირების შეგროვების და დაწვის სისტემის) გამართული ფუნქციონირება. სისტემის ან მოწყობილობის გაუმართაობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე და უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ამასთან ოპერირების ეტაპზე, წელიწადში ერთხელ უზრუნველყოს ნაგავსაყრელის სტრუქტურისა და შემადგენლობის მონიტორინგის შედეგების სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა;
14. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ უზრუნველყოს ნაგავსაყრელის ოპერირებასთან დაკავშირებული რისკების პრევენცია და შესაბამისი

ლონისძიებების განხორციელება. ნარჩენების ხრწნის შედეგად წარმოქმნილი სუნის გავრცელების შემთხვევაში, უზრუნველყოს ყველა დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, ამასთან, გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში, გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში აცნობოს აღნიშნულის თაობაზე სააგენტოს და უზრუნველყოს სააგენტოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებების შესრულება უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად;

15. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტზე (მდ. უმჩარა/უთუორი) მონიტორინგის განხორციელება (მოცულობისა და შემადგენლობის) ორ წერტილზე, ნაგავსაყრელიდან დინების ზედა და ქვედა მიმართულებით, ოპერირების ეტაპზე 3 თვეში ერთხელ, დახურვის შემდგომი მოვლის ეტაპზე 6 თვეში ერთხელ;
16. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოს გამონაჟონის, აირების ემისიების, მიწისქვეშა წყლების და ზედაპირული წყლის მონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა. მონიტორინგის შედეგად საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გატარება;
17. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები ობიექტის საზღვრის პერიმეტრზე, ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე (მონიტორინგის წერტილების კოორდინატებისა და სიხშირის მითითებით);
18. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
19. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;
20. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

21. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მდ. უთუორის/უმჩარას წყალდიდობის რისკის განსაზღვრის შესახებ ჰიდროლოგიური კვლევის შედეგების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება ნაგავსაყრელის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დატბორვის რისკები და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
22. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
23. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სამშენებლო სამუშაოების დაწყებისა და ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
24. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
25. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“;
26. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
27. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
28. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო